ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

ხელშეკრულება № HEAD.0032128.059

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ ---------- 2024 წ.

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი

. კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი – ფიქსირებული
. კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი ---------- %
. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - ---------- %

ფინანსური ხარჯი:

. ყოველთვიური შენატანი - თანდართული გრაფიკის შესაბამისად
. ვადის ბოლოს შენატანი (ძირი თანხა+პროცენტი) - ---------- -------- **GEL**
. სმს მომსახურების საფასური = **0.1** ლარი(**10** თეთრი), გეგმიურად გადახდის წერტილებშ ი, გრაფიკის მიხედვით (ხელშეკრულებით გათვალისწინებ ული პირობის შესაბამისად).

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

. სესხის ოდენობა//ხელზე მისაღები თანხა - ----------

- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - **1** წელიწადი
- სესხის სხვა ბანკიდან წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვის და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი (მოვალე) დამატებით იხდის წინსწრების საკომისიოს.

  სესხის წინსწრებით
  დაფარვის საკომისიო შეადგენს სესხის წინსწრებით დაფარვის მომენტში, სესხის ნარჩენი ძირითადი თანხ ის **0.3%**-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია **6**-დან **12** თვემდე ვადა და **0%**-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია **6** თვემდე ვადა.

- ვადაგადაცილების ჯარიმა/პირგასამტეხლო = სესხის ძირი თანხის **0.20%**, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე სესხზე დარიცხული ნებისმიერი სანქციის მათ შორის საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს და სხვა ხარჯების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირი თანხის **1.5**-მაგ ოდენობას.

- იმ შემთხვევაში თუ სესხის დაფარვიდან **2** დღის ვადაში მსესხებელი არ გაიტანს დაგირავებულ ნ ივთს სერვისცენტრიდან ან/და ფილიალიდან, აღნიშნული ნივთი დაბრუნდება საცავში მეორ ე ინკასაციის დროს, რისთვისაც მსესხებელი ვალდებულია ნივთის გატანისას დამატებით გადაიხადოს ნივთის შენახვის ხარჯი, რომელიც შეადგენს დაგირავებული ნივთის შეფასების წლიური **2 %**-ს.

- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2(ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყობინები (მობილური ტელეფონის ნომერზე) ან ჩვენთვის ცნობილ და მის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთან, გამსესხებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს ცვლილება, თუ ხელშეკრულების პირობები იცვლება მსესხებლის სასარგებლოდ.

- ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სესხთან დაკავშირებული სასესხო მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება მხოლოდ წინამდებარე სესხის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და დასაკუთრების გზით) განხორციელებით.

. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - **http: // nbg.gov.ge/cp** და ცხელ ხაზზე – **032 2 406 406**

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ **2024 წელი**

კრედიტისა და გირავნობის ხელშეკრულება N HEAD.0032128.059

ერთის მხრივ, შპს მისო “ბერმელი” (შემდგ. “მოგირავნე”), ს/კ: 245431108 მის:ფარნავაზ მეფის 93/99, ტელ/ნ:(0422)27-56-50, მობ/ნ:577 26 16 82 წარმომადგენელი ---------- სახით და მეორეს მხრივ ----------

ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანია მისოს მიერ მსესხებელზე პროცენტიანი სესხის გაცემა და მსესხებლის მიერ მის საკუთრებაში არსებული და მოგირავნისათვის, (მისოსთვის) პირდაპირ მფლობელობაში გადაცემული მოძრავი ნივთების, ძვირფასი ლითონების და თვლების დაგირავება (უზრუნველყოფა), რომლის ჩამონათვალი, შეფასება და სხვა რეკვიზიტები მითითებულია გირავნობის საგნის შესახებ შეფასების აქტში, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და თან ერთვის (დანართი # 1).

ხელშეკრულების პირობები

2.1 სესხის ოდენობა /ლიმიტის თანხა- ---------- **ლარი**

2.2 მომხმარებლის მიერ მიღებული თანხა - ----------

2.3 მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა - **---- GEL**

2.4. სესხის გატანის პერიოდულობა/გატანის თარიღები და გატანების საერთო რაოდენობა: გატანა განხორციელდება ერთჯერადად ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდგომ, დოკუმენტაციის ხელმოწერისთანავე.

2.5 კრედიტის ტიპი: ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი;

2.6 სესხით სარგებლობის ვადა **12 თვე,** პროცენტის ყოველთვიურად გადახდის შემთხვევაში;

2.7 საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - **12** თვე;

2.8 კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი - **ფიქსირებული;**

2.9 საპროცენტო სარგებელი: თვიური ----------**%**

2.10 წლიური საპროცენტო სარგებელი ---------- **%**

2.11 ეფექტური საპროცენტო სარგებელი ---------- **%**

2.12 გადახდის შუალედი - **1 თვე**

2.13 სესხის გატანის თარიღი - ----------

2.14 თვიური შემოტანა - თანდართული გრაფიკის შესაბამისად.

2.15 „თუ თანახმა ხართ მობილურის ნომერზე მიიღოთ სმს შეტყობინება სესხის გეგმიური დაფარვის თარიღის მოახლოების შესახებ სესხის გეგმიური გადახდის თარიღის დადგომამდე სამი დღით ადრე და შემდეგ გადახდის დღეს - გთხოვთ ქვემოთ აღნიშნული ველიდან ერთ-ერთში მონიშნოთ შემდეგნაირად ____ √

თანახმა ვარ, სმს შეტყობინება მივიღო განაცხადში მითითებულ მობილურის ნომერზე;

არ ვარ თანახმა მივიღო სმს შეტყობინება.

სმს მომსახურების საფასური (თანხმობის შემთხვევაში) - **0.1 ლარი (10 თეთრი)**, გეგმიურად გადახდის წერტილებში, გრაფიკის შესაბამისად.“

2.16 გადახდის დაწყების თარიღი- თანდართული გრაფიკის შესაბამისად.

2.17 სესხის დაფარვის თარიღი ----------

2.18 პირგასამტეხლო სესხის ძირი თანხის **0.20 %** ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე**.** ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე სესხზე დარიცხული ნებისმიერი სანქციის მათ შ ორის საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს და სხვა ხარჯების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სესხის მიმდ ინარე ნარჩენი ძირი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

2.19 მხარეები თანხმდებიან, რომ თუ მომხმარებელს აქვს ერთზე მეტი მიმდინარე დავალიანება და მომხმარებლის ანგარიშზე განთავსებული თანხა არ არის საკმარისი ერთზე მეტი ვადამოსული/ვადაგადაცილებული ვალდებულების სრულად შესასრულებლად, თუ მომხმარებელი **წერილობით** დააფიქსირებს განცხადებას უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ შემოტანილი თანხის წარმართვა კონკრეტული სესხის დასაფარად, შესაბამისად უფლება აქვს აირჩიოს ვალდებულებების დაფარვის რიგითობა.

2.20 სესხის სარგებლობის ვადის დამთავრებისას, სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის სრულად დაფარვის შემთხვ ევაში სესხით სარგებლობის ვადა გაგრძელდება პერმანენტულად – 2.5.პუნქტში მითითებული ვადით.

2.21 პროცენტის გაანგარიშება ხდება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად: წელიწადში 365 დღეზე გაა ნგარიშებით. პროცენტის დარიცხვა იწყება სესხის აღების მომენტიდან და გრძელდება სესხის ძირითადი თანხის სრულად დაფარვამდე, ან მოგირავნის მიერ სესხის იძულებით ამოღებამდე (აღსრულებამდე);

2.22.დაგირავებული ნივთის გატანის დღეებია –

ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი (გარდა შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეებისა)

17:00 საათის შემდეგ, რისთვისაც მსესხებელმა არსებული დავალიანება სრულად უნდა დაფაროს არაუგვიანეს წინა დღისა. ა მასთან, გამსესხებლის გადაწყვეტილებით გატანის დღეები შეიძლება შეიცვალოს ერთჯერადად, რაზეც მსესხებელს ეცნობე ბა არაუგვიანეს მის მიერ დავალიანების დაფარვის დღისა (მათ შორის ფილიალში გამოქვეყნების გზით;

2.23 იმ შემთხვევაში თუ სესხის დაფარვიდან 2 დღის ვადაში მსესხებელი არ გაიტანს დაგირავებულ ნივთს სერვისცენტრიდან ან/და ფილიალიდან, აღნიშნული ნივთი დაბრუნდება საცავში მეორე ინკასაციის დროს, რისთვისაც მსესხებელი ვალდებულია ნივთის გატანისას დამატებით გადაიხადოს ნივთის შენახვის ხარჯი, რომელიც შეადგენს დაგირავებული ნივთის შეფასების წლიური 2 %-ს.

2.24 გამსესხებელი უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების გათვალისწინებული სესხისა და სარგებლის გადახდის ვადის გადაცილებისათვის მსესხებელს დაარიცხოს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სესხის ძირითადი თანხის **0.20** %ის ოდენობით. პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება: ა) მსესხებლის მიერ საპროცენტო სარგებლის სრულად დ აფარვის შემთხვევაში ბ) მსესხებლის მიერ სესხის ძირი თანხის და საპროცენტო სარგებლის ნებაყოფლობით სრულად დაფა რვის შემთხვევაში, გ) მსესხებლის მიერ სესხის ძირი თანხის და საპროცენტო სარგებლის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში მოგირავნის მიერ სესხის იძულებითი ამოღებით;

2.25 პროცენტის გადახდა შესაძლებელია ლარში ან დოლარის ექვივალენტ ლარში, დაფარვის დღეს არსებული კურსით;…

2.26 სესხის დაფარვის თანმიმდევრობა: ა) დარიცხული პირგასამტეხლო, ბ)დარიცხული სარგებელი ბ)სესხის ძირითადი თა ნხა;

2.27 მსესხებელს ნებისმიერ დროს აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა, რა დროსაც იგი ვალდებულია გადაუხადოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას დარიცხული პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის დარჩენილი ძირი თანხა და მასზე დარიცხული პროცენტი. სესხის **სხვა ბანკიდან** წინსწრებით (ვადაზე ადრე) დაფარვის და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებელი (მოვალე) დამატებით იხდის წინსწრების საკომისიოს.

სესხის წინსწრებით

დაფარვის საკომისიო შეადგენს სესხის წინსწრებით დაფარვის მომენტში, სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.3%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა და 0%-ს თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.

2.28 კრედიტის სრულად დასაფარად საკმარისი თანხით არ მოხდება კრედიტის წინსწრებით დაფარვა ავტომატურად, თუ მომხმარებელი ზეპირსიტვიერად ან/და წერილობით არ მოითხოვს კრედიტის წინსწრებით დაფარვას.

2.29 სესხის ძირითადი თანხის, სარგებლის ან/და პირგასამტეხლოს გადახდა შეუძლია ნებისმიერ პირს, ხოლო გირავნობის ს აგნის გატანა შეუძლია მხოლოდ დამგირავებელს, ან მისგან სათანადო წესით –

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით უფლებამოსილ პირს.

2.30 მისო უფლებამოსილია მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, სესხისა და დარიცხ ული სარგებლის გადაუხდელობის, ანუ ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე, 278-ე, 282-ე, 283-ე და 284-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებათაგან ნებისმიერით, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის 156 მუხლის ,,ვ" პუნქტის და 176 ¹ (პრიმა) 1-ლი მუხლის ,,დ" ქვეპუნქტით

და მიღებული თანხა მიმართოს მისოში მსესხებლის საკრედიტო დავალიანების დასაფარად;

2.31 მსესხებელი პასუხს აგებს მხოლოდ გირავნობის საგნით და მისოს დაკმაყოფილება მოხდება გირავნობის საგნის რეალი ზაციით ან მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დაგირავებული ნივთის მისოს საკუთრებაში გადაცემით; მოთხოვნა დაკმა ყოფილებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ იქნება გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად ან გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ დაფა რავს ამ მოთხოვნის ოდენობას.

2.32 სამოქალაქო კოდექსის 199-ე 201-ე და 269-ე მუხლების შესაბამისად მისო უფლებამოსილია ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი მოთხოვნა უზრუნველყოფი ს საგანთან ერთად დაუთმოს მესამე პირს;

2.33 გირავნობის საგნის რეალიზაციის ან მის საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება მოგირავნეს აქვს დამგირავებლი ს მიერ გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში; ასევე, თუ დამგირავებელმა ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინა არასრული ინფორმაცია.

2.34 გირავნობის უფლება წყდება, როცა გირავნობის საგანი გადადის მოგირავნის საკუთრებაში, ან ხდება მისი რეალიზაციი თ დათმობა სესხის დაფარვის მიზნით.

2.35 მოგირავნე ვალდებულია რეალიზაციამდე ერთი თვით ადრე გირავნობის რეალიზაციის შესახებ გააფრთხილოს დამგირავებელი ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში),
მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე) სატელეფონო გზით (მობილური ტელეფონის ნომერზე) ან წერილობით მისოსთვის ცნობილ და მის მიერ მოწოდებულ მისამართზე შეტყობინების გაგზავნით.
2.36 მოგირავნე უფლებამოსილია მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, თუ დამგირავებელი დაარღვევს სესხზე დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს გადახდის ვადას, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა (ვადაგადაცილებიდან 21 დღემდე მისოს ექსპერტ-შემფასებლის, ხოლო 21-
დან 71 დღემდე პრობლემური სესხების მენეჯერის მიერ), გადააცილებს 71 (სამოცდათერთმეტი) დღით.
2.37 გირავნობის საგნიდან მოთხოვნების დაკმაყოფილება ხორციელდება მისოს შეხედულებისამებრ ერთ-ერთი შემდეგი გზით:ა) გირავნობის საგნის ,,მისოს" მიერ უშუალოდ, პირდაპირი მიყიდვის გზით რეალიზაციით. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების 2.27 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში ,,მისო" იმოქმედებს ,,კლიენტის" სახელით და ხარჯზე და უფლებამოსილია გამოვიდეს მესამე პირთან ურთიერთობაში, დადოს ნებისმიერი გარიგება გირავნობის საგანზე. ,,მისოს" ეს უფლებამოსილება არ არის დამოკიდებული ,,კლიენტის" რაიმე დამატებით თანხმობაზე/ნებართვაზე; ან ბ) გირავნობის საგნის ,,მისოსათვის" პირდაპირ საკუთრებაში გადაცემით. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების 2.27 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში გირავნობის საგანი პირდაპი, უპირობოდ, ,,კლიენტის" რაიმე დამატებითი თანხმობის/ნებართვის გარეშე ხდება ,,მისოს" საკუთრება.
2.38 გირაოს რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხით დაიფარება რეალიზაციის ხარჯები _ მათ შორის: საფოსტო-სატელეფონო, გირაოს გასხვისების ან მოთხოვნის დათმობის საკომისიო არაუმეტეს გირაოს ღირებულების 5 %-ისა, ექსპერტსპეციალისტის (სარეალიზაციო ნივთის შეფასების, ასეთის არსებობის შემთხვევაში), ნივთის მოწესრიგების (თუ არის ასეთი), გირაოს რეალიზაციის საკომისიო არაუმეტეს გირაოს ღირებულების 2 %-ისა მათ შორის აუქციონის (თუ ამ ფორმით წარიმართა რეალიზაცია) ასევე სასამართლო, სააღსრულებო, საადვოკატო (თუ შეიქმნა ამის საჭიროება) და სხვა აუცილებელი ხარჯები, ბოლოს სესხის ძირი თანხა და მასზე დარიცხული დავალიანება.
2.39 თუ სარეალიზაციო გირაო , ან გასასხვისებელი და დასთმობი სესხის გირაო ჯერ კიდევ არ არის რეალიზებულიგასხვისებული ან დათმობილი, მსესხებლის მიერ მისი უკან დაბრუნების თხოვნის, მის მიერ დარიცხული პროცენტის,პირგასამტეხლოსა და საკომისიოს (გაწეული ხარჯების,არაუმეტეს გირაოს ღირებულების 5%-ისა)გადახდის შემთხვევაში მისო უფლებამოსილია დაუბრუნოს გირაო და გაუახლოს დამაგირავებელს/მსესხებელს სესხი.
2.40,,მსესხებელი", სესხის ვადის გასვლის შემდეგ კრედიტისა და გირავნობის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სასამართლოში სარჩელის შეტანის დღიდან ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიურად საპროცენტო სარგებელი სესხის ძირი თანხის **1.5 %** და პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ სესხზე სესხის ძირი თანხის **0.20 %-ის** ოდენობით სასამართლო გადაწყვეტილების სრულ აღსრულებამდე; - აღნიშნული შემთხვევა გავრცელდება იმ ფაქტზე თუ მსესხებლის მიერ დაგირავებული ოქროს ნივთი აღმოჩნდება ყალბი, ან ადგილი ექნება მსესხებლის მიერ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.
2.41 თუ მსესხებელს აქვს რამდენიმე სესხი, სარგებლის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში იგი ვალდებულია სარგებელი (%-ი) გადაიხადოს პირველ რიგში იმ სესხზე, რომელზეც %-ის გადაუხდელობის გამო უფრო მეტი ვადაა გასული, ან უზრუნველყოს დავალიანების დაფარვა ყველა სესხზე ერთდროულად;
2.42 თუ მსესხებელს აქვს რამდენიმე სესხი, მსესხებლის მიერ სხვადასხვა დროს გატანილი სესხის უზრუნველსაყოფად მისოში სხვადასხვა დროს შემოტანილი ან/და რეგისტრირებული გირავნობით დატვირთული, ყოველი გირაო ავტომატურად ხდება მსესხებლის მიერ გატანილი ყველა სესხის უზრუნველყოფა. შესაბამისად მისოს თანხმობის გარეშე მსესხებელს უფლება არა აქვს რომელიმე სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში გაიტანოს დაფარულ სესხზე არსებული გირაო, ან მოითხოვოს გირავნობის რეგისტრაციის მოხსნა მის მიერ ყველა სესხის სრულად დაფარვამდე;
2.43 მსესხებელი ვალდებულია შეამციროს სესხის თანხა, ან გაზარდოს გირაო სხვა უზრუნველყოფით შესაბამის ოდენობამდე, გირაოს შეფასების ტარიფების კლების მიმართულებით შეცვლის შემთხვევაში მისოს მიერ შეცვლის შესახებ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ვადებში;
2.44 მსესხებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს მისოს ზარალი, რომელიც მას მიადგება მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირობის დარღვევით;
2.45 მსესხებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ: გირავნობის საგნის შეფასების აქტი, შედგენილია სწორად და მასში მითითებული ნივთები წარმოადგენს მის საკუთრებას, ამასთანავე არ არის ანტიკვარული.
2.46 ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობით ელექტრონული ფოსტით (არსებობის შემთხვევაში), მოკლე ტექსტური შეტყობინებით (მობილური ტელეფონის ნომერზე) ან ჩვენთვის ცნობილ და მის მიერ მოწოდებულ მისამართზე. ამასთან, გამსესხებელი არ არის ვალდებული წინასწარ აცნობოს მსესხებელს ცვლილება, თუ ხელშეკრულების პირობები იცვლება

მსესხებლის სასარგებლოდ.
2.47 მხარეს შეუძლია ორგანიზაციას წარუდგუნოს ნებისმიერი ტიპის პრეტენზია, წერილობით ან/და ზეპირი ფორმით, ნებისმიერი ტიპის პრეტენზიაზე პასუხი მხარეს გაეცემა ერთი თვის ვადაში, იმავე ფორმით რა ფორმითაც მოგვმართავს მხარე. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია ორგანიზაციის ნებისსმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ცხელ ხაზზე, ასევე ნებისმიერი მომსახურების ოფისში/სერვისცენტრში.
2.48 ფინანსური ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2.
2.49 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს გირავნობით უზრუნველყოფილი ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე;
2.50 წარმოშობილ დავებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობისას დავას განიხილავს სასამართლო ამ ხელშეკრულების შედგენის ადგილის მიხედვით.
2.51 გირავნობის საგანზე სიყალბის ან ნახევრად სიყალბის ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, "მსესხებელი" თანახმაა სინჯის დადგენის მიზნით გირაოს ნივთის სუფთა ქლიბით ჩახეხვაზე.
2.52 იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ შპს მისო „ბერმელში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემული გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

შპს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელი“ არ არისლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განხვავებით მასზე ვრცელდებამსუბუქი ზედამხედველობისრეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში თქვენ შესაძლოა, ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.

3. მხარეთა რეკვიზიტები:

შ.პ.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "ბერმელის" **წარმომადგენელი: ----------** **მის: ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ 93/99** **----------** **(სახელი - გვარი, ხელწერა, ბეჭედი)**	**"მსესხებელი"** **ფიზიკური პირი: ----------** **----------** **(სახელი - გვარი, ხელწერა)**